



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030496600663920

№ 04-311/თ

24 / ივნისი / 2020 წ.

“2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N8 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) ფარგლებში, ახალშობილთა თვალის გონოკოკური ინფექციის და ჰემორაგიული დაავადებების საპროფილაქტიკო სამკურნალო საშუალებების ახალშობილზე გაცემის წესის, დაწესებულებაზე გადაცემის წესის და გამოსაყენებელი ხარჯთაღრიცხვის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N8 დანართის („დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“) მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 11 ივნისის N01/6232 წერილის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N8 დანართის (შემდგომში - „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა“) მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის („მედიკამენტებით უზრუნველყოფა“) „ვ.ე“ და „ვ.ვ“ ქვეპუნქტების ფარგლებში შესყიდული მედიკამენტების - ახალშობილთა თვალის გონოკოკური ინფექციის პროფილაქტიკისათვის თვალის ერთრომიცინის მალამო, ახალშობილთა ჰემორაგიული დაავადების პროფილაქტიკისათვის ვიტამინი K1 (შემდგომში - ვიტამინი K1) და თვალის ერთრომიცინის მალამო ან ტეტრაციკლინის მალამო ან აზითრომიცინის წვეთები (შემდგომში – თვალის მალამო/წვეთები) ახალშობილზე გაცემის და დაწესებულებაზე გადაცემის წესი, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) ვიტამინი K1-ის და თვალის მალამო/წვეთების გაცემის წესი ახალშობილზე:

ა.ა) ვიტამინი K1-ის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ყველა ახალშობილს, ერთჯერადად, არაუგვიანეს დაბადებიდან პირველი 6 საათის განმავლობაში;

ა.ბ) თვალის მალამოს/წვეთების მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ყველა ახალშობილს, ერთჯერადად, არაუგვიანეს დაბადებიდან პირველი 6 საათის განმავლობაში;

ა.გ) დაწესებულება ვალდებულია, მედიკამენტ(ებ)ი გასცეს მასთან დაბადებულ ყველა ახალშობილზე (დედის სტატუსის შესაბამისად - საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი);

ა.დ) თვალის ერთრომიციინის მალამო (ტუბი ან ფლაკონი) ერთ ახალშობილზე გაიცემა დოზირებით - 0,5-1,0 სმ ზოლი თითოეულ თვალში და ერთი ტუბი განსაზღვრულია ერთჯერადი მოხმარებისთვის ერთ ახალშობილზე;

ა.ე) ვიტამინი K1 ერთ ახალშობილზე გაიცემა არაუმეტეს 1მგ-ისა ინტრამუსკულარულად/ინტრავენურად.

ბ) ვიტამინი K1-ის და თვალის მალამოს/ წვეთების დაწესებულებაზე გადაცემის წესი:

ბ.ა) მედიკამენტები, პირველ ეტაპზე (კინაიდან, ამ სამკურნალო საშუალებების ანალოგიური შესყიდვის და გაყიდვის გამოცდილება არ არსებობს), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მხრიდან დაწესებულებაზე გაიცემა ემპირიულად, წინა წელს დაბადებული ახალშობილების რიცხვის შესაბამისად;

ბ.ბ) მედიკამენტები, ყოველ მომდევნო ეტაპზე, სააგენტოს მხრიდან დაწესებულებაზე გაიცემა დაწესებულების მხრიდან წერილობითი მომართვის საფუძველზე, წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული ხარჯვის გათვალისწინებით;

ბ.გ) სააგენტო, დაწესებულების წერილობითი მოთხოვნის და ახალშობილთა პროგნოზული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მის მომარაგებას სამკურნალო საშუალებებით (მედიკამენტის გატანა ბაზიდან (თბილისის შემთხვევაში) და რეგიონალური აფთიაქებიდან ხდება დაწესებულების მიერ);

ბ.დ) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტში - მშობიარობა და საკეისრო კვეთა, ახალი დაწესებულების ჩართვის ან ნებისმიერ სხვა გაუთვალისწინებელ (მაგ. ახალშობილთა რიცხვის ზრდა) შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს სააგენტოს მედიკამენტ(ებ)ის დამატებითი რაოდენობის მოთხოვნის თაობაზე;

ბ.ე) დაწესებულების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტიდან („მშობიარობა და საკეისრო კვეთა“) გასვლის შემთხვევაში, წერილობითი მომართვის საფუძველზე, სააგენტო თავისი შეხედულებისამებრ (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით) უზრუნველყოფს სამკურნალო საშუალებების დარჩენილი რაოდენობის გადატანას ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში, შემდგომი გამოყენების მიზნით;

ბ.ვ) მედიკამენტ(ებ)ის მოქმედების ვადის გასვლის თავიდან აცილების მიზნით, სააგენტო იტოვებს უფლებას, გადასცეს ვიტამინი K1 და თვალის მალამო/წვეთები იმ ანალოგიური სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით), სადაც მედიკამენტის ხარჯვის მაღალი მაჩვენებელია. ერთი დაწესებულებიდან მეორეში მედიკამენტის გადატანა (ტრანსპორტირება) განხორციელდება დაწესებულებათაშორისი შეთანხმების საფუძველზე;

ბ.ზ) დაწესებულებებისათვის მედიკამენტების მიწოდებას სააგენტოს სახელით უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში სამკურნალო საშუალებების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების განმახორციელებელი;

ბ.თ) დაწესებულება პასუხისმგებელია ხარჯთაღრიცხვის ფორმაში დაფიქსირებული ინფორმაციის სისწორეზე;

ბ.ი) დაწესებულება ვალდებულია, სააგენტოში წარმოადგინოს შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია არაუგვიანეს შესრულებული სამუშაო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა. წარმოადგენლობის ან დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში, ჩაითვლება სამუშაო თვის შეუსრულებელ ვალდებულებად და არ დაექვემდებარება დაკორექტირებას;

ბ.კ) დაწესებულება ვალდებულია, მედიკამენტი შეინახოს შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით;

ბ.ლ) დაწესებულება ვალდებულია, სხვადასხვა მოქმედების ვადიანი მედიკამენტის არსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში, ხარჯვა განახორციელოს იმ სერიული მედიკამენტიდან, რომლის

მოქმედების ვადა სხვასთან შედარებით ნაკლებია;

ბ.მ) შესაძლებელია, წლის ნებისმიერ დროს, სააგენტოს მხრიდან ჩატარდეს მონიტორინგი. მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევების (მედიკამენტის შენახვის პირობების დაუცველობა (ტემპერატურული რეჟიმი), მოქმედების ვადების უკონტროლობა, სერიული კონტროლის აღრევა, დანაკლისი, ზედმეტობა) შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება დაწესებულებას, რაც არ ათავისუფლებს მათ საჯარო სანქციებისგან.

2. დამტკიცდეს ვიტამინი K1 -ის და თვალის მალამოს/წვეთების ყოველთვიური ხარჯვის ფორმა (დანართი 1).
3. დაევალოთ:
 - ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (კ. ჩხარტიშვილი):
 - ა.ა) ადმინისტრირება გაუწიოს ბრძანების შესრულებას;
 - ა.ბ) უზრუნველყოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტში - მშობიარობა და საკეისრო კვეთა - სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების ინფორმირება წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე და მოთხოვნის შემთხვევაში, მათთვის კონსულტაციის გაწევა;
 - ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



გიორგი წონკოლაური

ვიტამინი K1 და თვალის მალამოს/წვეთები ყოველთვიური ხარჯვის ფორმა

დაწესებულების დასახელება:

დაწესებულების მისამართი:

ანგარიშგების თვე, წელი:

N	მედიკამენტის დასახელება	საწყისი ნაშთი საანგარიშო პერიოდში *	შემოსავალი საანგარიშო პერიოდში*	საანგარიშო პერიოდში ახალშობილზე გაცემული რაოდენობა *	ახალშობილების რაოდენობა, ვიზეც განხორციელდა მედიკამენტის გაცემა	საბოლოო ნაშთი *
1						-

შენიშვნა:

1 * – სამკურნალო საშუალება აღირიცხება ამპულებში/ფლაკონში/ტუბში

დაწესებულების ხელმძღვანელი

ბ.ა